



მოწვევა კონტრაქტორის შერჩევის პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით

- შესყიდვის საგანი - ჟანგბადისა და თხევადი გაზის შესყიდვა
- ტექნიკური დავალება - იხ. დანართი № 2
- **კომერციული წინადადებების მიღების ბოლო ვადა: 21.02.2019**

1. ორგანიზატორი: Rich Metals Group

2. კონტრაქტორების შერჩევის პროცესში მონაწილე კომპანიები ადასტურებენ თავიანთ თანხმობას ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებით თანამშრომლობაზე და გამოთქვამენ მზადყოფნას, რომ უზრუნველყოფენ სამუშაოთა შესრულებას წარმოდგენილი კომერციული წინადადებისა და დოკუმენტების მიხედვით. შესაძლებელია ამ დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაციის მეტად დეტალიზირება და დაზუსტება ორგანიზატორის მიერ.
3. პროცესში მონაწილეობის მსურველმა კომპანიამ უნდა წარმოადგინოს კომერციული წინადადება
4. მონაწილემ უნდა წარმოადგინოს კომერციული წინადადება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ კომერციული წინადადება:
- ✓ ენა : ქართული/რუსული/ინგლისური
- ✓ კომერციულ წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ფიქსირებული უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.
- ✓ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი კომერციული წინადადება თანხმობის დოკუმენტაციით უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უფლებამოსილი პირის მიერ.
- ✓ კომერციული წინადადება, რომელიც არ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, არ იქნება განხილული.

კომერციული წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- ✓ პროდუქციის ღირებულება;
- ✓ გადახდის პირობები;
- ✓ პროდუქციის მახასიათებლები (მწარმოებელი კომპანიისა და წარმოშობის ქვეყნის მითითებით)
- ✓ პროდუქციის მოწოდების ვადა და პირობები;
- ✓ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (განახლებული ვერსია);
- ✓ რეკვიზიტები: ფაქტობრივი და იურიდიული მისამართი, საკონტაქტო პირის ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები;
- ✓ ინფორმაცია კომპანიის გამოცდილების შესახებ;

კომერციული წინადადებები ძალაში იქნება კონტრაქტორის შერჩევის პროცესის დასრულებამდე. აღნიშნული პროცესი დასრულებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც ხელშეკრულებები გაფორმდება მხარეებს შორის.

5. მონაწილე კომპანიის კომერციული წინადადება განხილული იქნება, როგორც საფუძველი კონტრაქტორის შერჩევის პროცესში პოტენციური პრეტენდენტის გამოვლენისათვის.

6. ანტიკორუფციული პირობები: პოტენციური პრეტენდენტი, ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში ვალდებულია დაემორჩილოს ანტიკორუფციულ პირობებს, რომლებიც წარმოდგენილია დანართში #1
7. კომერციული წინადადების ჩაბარების პირობები: ყველა კომერციული წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზატორის მისამართზე : ქალაქი თბილისი, მ.ალექსიძის ქუჩა #1, შესახვევი #3. წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული კონვერტით კომერციული წინადადებები შესაძლებელია ასევე წარმოდგენილ იქნეს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

TO- LPirveli@richmetalsgroup.com

CC – Zdzagnidze@richmetalsgroup.com

საკონტაქტო ინფორმაცია:

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი:

დირექტორის მოადგილე:

ზურა ძაგნიძე

T +995 599 128 686

მდივანი:

ლილე პირველი

T +995 579 552 051.

8. ხარჯები. მონაწილე იღებს პასუხისმგებლობას ყველა ხარჯზე, რომელიც დაკავშირებულია წინადადებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებასა და წარდგენასთან და ორგანიზატორი არცერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი ამ ხარჯებზე, მიუხედავად შერჩევის შედეგებისა.

9. საუკეთესო წინადადების შერჩევის კრიტერიუმები:

მონაწილეთა წინადადებების შერჩევა ხდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- ფასი;
- გადახდის პირობები;
- პროდუქციის ხარისხი;
- აღნიშნულ სფეროში კომპანიის გამოცდილება და მისი რეპუტაცია ბაზარზე;
- **Rich Metals Group**-ის შიდა ნორმატიულ დოკუმენტებთან და პოლიტიკასთან შესაბამისობა;
- მოთხოვნილი ხარისხით უზრუნველყოფა, პარტნიორობის საფუძველზე გრძელვადიანი თანამშრომლობის შესაძლებლობა;

10. კონტრაქტორის შერჩევის პროცესის ორგანიზატორის უფლებები და მოვალეობები: ორგანიზატორი უფლებამოსილია დაადგინოს დამატებითი მოთხოვნები მონაწილეთა მიმართ. იმ შემთხვევაში, თუკი კომერციულ წინადადებაში წარმოდგენილი იქნება არასათანადო ან არასანდო ინფორმაცია, ორგანიზატორი იტოვებს უფლებას, გამორიცხოს ისინი შერჩევის პროცესიდან ნებისმიერ ეტაპზე. კომერციული წინადადებების განხილვის შემდეგ, ორგანიზატორი ოფიციალური წერილით აცნობებს პოტენციურ პრეტენდენტებს, ხელშეკრულების გაფორმების მიზნით მომავალ მოლაპარაკებებზე დაინტერესების შესახებ. ორგანიზატორი იტოვებს უფლებას, არ გააკეთოს კომენტარი შუალედური თუ საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ. კომერციული წინადადებების ჩაბარების ბოლო ვადამდე, არაუგვიანეს 3 დღისა, ორგანიზატორი უფლებამოსილია შეიტანოს გარკვეული ცვლილებები კონტრაქტორის შერჩევის პროცედურაში და წერილობით აცნობოს ამ ცვლილებების შესახებ ყველა მონაწილეს.

11. შედეგების გადახედვა: თუკი, თანამშრომლობის პერიოდში, რაიმე მიზეზის გამო, კონტრაქტორი ვერ შეძლებს განხორციელოს მომსახურება, რომელსაც ითვალისწინებდა მისი კომერციული წინადადება, მაშინ, ორგანიზატორს ექნება უფლება, ცალმხრივად შეწყვიტოს ან შეაჩეროს ხელშეკრულების მოწმედება და შესაბამისი მომსახურების განხორციელების უფლება გადასცეს სხვა მონაწილე კომპანიას, კონტრაქტორის შერჩევის დამატებითი პროცედურების ცატარების გარეშე.

12. დანართების ჩამონათვალი:

დანართი № 1 - ანტიკორუფციული პირობები

დანართი № 2 - ტექნიკური დავალება



ანტიკორუფციული პირობები

მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების დროს, მხარეები, მათთან აფილირებული პირები, თანამშრომლები ან/და მათი შუამავლები პირდაპირ ან ირიბად არ მიიღებენ, არ გადაიხდიან, არ შესთავაზებენ გადახდას და არ მისცემენ რაიმე სახის ფულადი სახსრებისა ან ფასეულობების გადახდის უფლებას ნებისმიერ პირებზე, აღნიშნული პირების მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე ან მოქმედებაზე გავლენის მოსახდენად ნებისმიერი სახის არაკანონიერი უპირატესობის მოსაპოვებლად ან/და არაკანონიერი მიზნის მისაღწევად.

წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების დროს, მხარეები, მათთან აფილირებული პირები, თანამშრომლები ან/და შუამავლები არ განახორციელებენ მოქმედებას, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით კვალიფიცირებული იქნება, როგორც ქრთამის აღება/მიცემა, კომერციული მოსყიდვა, ასევე სხვა მოქმედება, რომელიც არღვევს კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, რომლებიც მიმართულია კანონსაწინააღმდეგო გზით შემოსავლების გათეთრების წინააღმდეგ.

წინამდებარე ხელშეკრულების ყოველი მხარე უარს აცხადებს მეორე მხარის თანამშრომლების რაიმე სახით სტიმულირებაზე, მათ შორის მათთვის ფულადი სახსრების, საჩუქრების გადაცემის, მათთვის უსასყიდლო მომსახურების გაწევის ან რაიმე სხვა გზით, რომელიც აღნიშნულ პუნქტში არაა მითითებული და რომელიც მეორე მხარის თანამშრომელს აყენებს გარკვეულ დამოკიდებულ პოზიციაში და მიმართულია აღნიშნული თანამშრომლის მიერ რაიმე სახის მოქმედების განხორციელებისათვის მისი მასტიმულირებელი მხარის სასარგებლოდ.

„დამკვეთი“ იტოვებს უფლებას, რომ მეორე მხარის მიერ ჩადენილი არაკანონიერი მოქმედებების ან/და წინამდებარე ხელშეკრულების ანტიკორუფციული პირობების დარღვევის შემთხვევაში მოახდინოს: კონტრაქტორთან ურთიერთობაზე გარკვეული სახის შეზღუდვების დაწესება ან/და წინამდებარე კონტრაქტის შეწყვეტა.

მხარეების აცხადებენ, რომ განახორციელებენ ყველა საჭირო მოქმედებას წინამდებარე ხელშეკრულების ანტიკორუფციული პირობების დარღვევების შესაბამისად გამოსაძიებლად და გაატარებენ ეფექტურ ღონისძიებებს გართულებებისა და კონფლიქტური სიტუაციების თავიდან ასაცილებლად.

მხარეები გარანტიას იძლევიან, რომ დაიცავენ სრულ კონფიდენციალურობას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანტიკორუფციული პირობების შესრულების დროს და ასევე მიმართავენ ყველა ღონეს, რათა გამოირიცხოს ნეგატიური შედეგები დარღვევის შესახებ შეტყობინების განმახორციელებელი მხარის მიმართ, ასევე აღნიშნული მხარის თანამშრომლების მიმართ, რომლებმაც შეატობინეს დარღვევის ფაქტის შესახებ.



დანართი N2

ტექნიკური დავალება

➤ მოთხოვნილი საორიენტაციო რაოდენობა (6 თვე) :

ჟანგბადი - 12230 კგ

პროპანი - 3080 კგ

- თავდაპირველ ეტაპზე მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს დამკვეთის საკუთრებაში არსებული ცილინდრების დატუმბვა, თუმცა საჭიროების შემთხვევაში შერჩეულ კონტრაქტორს უნდა გააჩნდეს საკუთარი ცილინდრები;
- კომპანია RMG-ის შრომის უსაფრთხოების თანამშრომლები დააკვირდებიან პროვაიდერის ოპერაციებს;

მომწოდებელი უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ უსაფრთხოების ტექნიკის სტანდარტულ ნორმებს:

- ახორციელებს თუ არა კონტრაქტორი ორთავე სახის ცილინდრების დაჭირხვნას; შედუღების გზის გარეშე დამზადებული ცილინდრების-(ISO 9809 სტანდარტის მიხედვით დამზადებული) და ასევე შედუღების გზით დამზადებული ცილინდრების-(ISO 22991; ISO 4706 სტანდარტის მიხედვით დამზადებული)?
- სერთიფიცირებულია თუ არა პროვაიდერი?
- გააჩნია თუ არა პროვაიდერს ცილინდრების დაჭირხვნის მეთოდოლოგია (Method Statement; თუ გააჩნია გვსურს გავეცნოთ ამ დოკუმენტს)?
- ახორციელებს თუ არა პროვაიდერი ცილინდრების ვიზუალურ დათვალიერებას მათ დაჭირხვნამდე და დაცული აქვს თუ არა შემოწმების დეტალები (checklist-ები, ვიზუალური კონტროლის სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი)?
- ამოწმებს თუ არა პროვაიდერი ცილინდრებს კოროზიის მაჩვენებელზე და დაცული აქვთ თუ არა შემოწმების ჩანაწერები, (checklist-ები, ვიზუალური კონტროლის სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი), განსაკუთრებით ცილინდრის ძირზე?
- ამოწმებს თუ არა პროვაიდერი ცილინდრის დამზადების და ბოლო ინსპექტირების თარიღებს და აკეთებს თუ არა ჩანაწერებს ამ მიმართულებით?
- ამოწმებს თუ არა პროვაიდერი ცილინდრის ფერს (აღებადი/ფეთქებადი, ასევე ინერტული გაზების ცილინდრების ფერები განსხვავდებიან), კლასიფიკაციის კოდს და შეტანილი აქვთ თუ არა ეს მონაცემები შესაბამის დოკუმენტში, რომლის მიხედვითაც ისინი აწარმოებენ მათი საქმიანობის აღრიცხვას? გაზების ცილინდრებს აქვს საკუთარი სტანდარტული ფერი, UN ნომერი, კლასიფიკაციის კოდი და ა. შ. მაგ;

- აირით დაწნეხილი ცილინდრების საიდენტიფიკაციო ცხრილი.

ცილინდრების კლასიფიკაცია:			ცილინდრებია მარკირება სტანდარტის მიხედვით				
UN-ნომერი	კლასიფიკაციის კოდი	აირის სახეობა	ცილინდრის ფერი	წარწერები იარლიყზე	იარლიყის ფერი	ზოლის ფერი	ცილინდრის ზედა დახრილი ნაწილის ფერი
1002	1A	ჰაერი	შავი	დაწნეხილი ჰაერი (ტექნიკური)	თეთრი	-	ღია მწვანე
1046	1A	ჰელიუმის გაზი	ნაცრისფერი	ჰელიუმი	თეთრი	-	ნაცრისფერი
1049	1F	წყალბადის გაზი	მუქი მწვანე	წყალბადი	წითელი	-	წითელი
1072	1O	სამედიცინო ჟანგბადი	ლურჯი	სამედიცინო ჟანგბადი	შავი	-	-
1066	1A	აზოტის გაზი	შავი	აზოტი	წითელი	ნაცრისფერი	შავი
1072	1O	ჟანგბადი	ლურჯი	ჟანგბადი	შავი	-	თეთრი
1006	1A	ტექნიკური არგონი	შავი	ტექნიკური არგონი	მუქი ლურჯი	მუქი ლურჯი	მუქი მწვანე

- თხევადი გაზით დაწნეხილი ცილინდრების საიდენტიფიკაციო ცხრილი.

კლასიფიკაცია		ცილინდრების მარკირება სტანდარტის მიხედვით					
UN-ნომერი	კლასიფიკაციის კოდი	აირის დასახელება	ცილინდრის ფერი	იარლიყზე წარმოდგენილი ტექსტი	იარლიყის ფერი	ზოლის ფერი	ცილინდრის ზედა დახრილი ნაწილის ფერი
1001	4F	აცეტილენი	თეთრი	აცეტილენი	წითელი	-	Maroon
1005	2TC	ამონიუმბი	ყვითელი	ამონიუმბი	შავი	-	ყვითელი
1011	2F	ბუტანი	წითელი	ბუტანი	თეთრი	-	წითელი
1013	2A	კარბონის დიოქსიდი	შავი	კარბონის დიოქსიდი	ყვითელი	-	ნაცრისფერი
1017	2TC	ქლორინი	მწვანე	ქლორინი	თეთრი	მწვანე	ყვითელი
1965	2F	ჰიდროკარბონების შერეული გაზი		-	-	-	-
1053	2TF	გოგირდ წყალბადი	თეთრი	გოგირდ წყალბადი	წითელი	წითელი	ყვითელი
1978	2F	პროპანი	წითელი	პროპანი	თეთრი	-	წითელი
1079	2TC	გოგირდის დიოქსიდი	შავი	გოგირდის დიოქსიდი	თეთრი	ყვითელი	ყვითელი

- იყენებს თუ არა პროვაიდერი OPD მოწყობილობას ცილინდრის დაჭირხვნისას. აღნიშნულმა მოწყობილობამ უნდა უზრუნველყოს დაჭირხვნის პროცესის შეწყვეტა ავტომატურად, იმ შემთხვევაში როდესაც ცილინდრში მიიღწევა, ცილინდრის დამამზადებლის მიხედვით გათვალისწინებული წნევა?
- ამოწმებს თუ არა პროვაიდერი ცილინდრის (WC)-ტევადობას და (TW)-ტარას?
- იყენებს თუ არა პროვაიდერი სტანდარტულ მეთოდს ცილინდრის დაჭირხვნისას, მაგალითად თუ ცილინდრის ტევადობა (WC) არის 36.287 კილოგრამი (80 lb), მასში შესაძლოა რომ უსაფრთხოდ მოთავსდეს 14.968 კილოგრამი (33 lb)?
- ახორციელებს თუ არა პროვაიდერი ცილინდრის აწონვას დაჭირხვნამდე და ახორციელებს თუ არა პროვაიდერი ცარიელი ცილინდრების გახსნას და დრენირებას იმ შემთხვევაში, როდესაც ცარიელი ცილინდრის წონა (დაჭირხვნამდე) აღემატება ცილინდრის იარლიყზე მითითებულ ცილინდრის ტარის (TW) წონას. (მითითებული აქვს თუ არა პროვაიდერს ამის შესახებ სამუშაოს შერულების მეთოდოლოგიაში)?
- იყენებს თუ არა პროვაიდერი კომპრესორს ცილინდრების დაჭირხვნისას და თუ იყენებს გააჩნია თუ არა პროვაიდერს ამ მოწყობილობის ვარგისიანობის დამადასტურებელი ჩანაწერები/დოკუმენტი (ყოველდღიური შემოწმების/ყოველკვირეული შემოწმების)?
- ახორციელებს თუ არა პროვაიდერი ცილინდრების დაჭირხვნას წნევის ქვეშ მყოფი რეზერვუარიდან და თუ ახორციელებს, აწარმოებს თუ არა პროვაიდერი ამ რეზერვუარში დარჩენილი თხევადი გაზის (ე.წ. ნარჩენის) კონტროლს და რეზერვუარის პერიოდულ დრენირებას (შეტანილი აქვს თუ არა პროვაიდერს აღნიშნული სამუშაო, ზემოთ ხსენებულ სამუშაოს შესრულების მეთოდოლოგიაში)?
- ახორციელებს თუ არა პროვაიდერი თავიანთ რეზერვუარებში წნევის გაზრდას იმ შემთხვევაში, როდესაც ამავე რეზერვუარში არსებული მუშა წნევა ვერ უზრუნველყოფს ცილინდრების დაჭირხვნას (თუ ახორციელებს, რა მეთოდით აკეთებს ამას).